პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 185 (3669)

1968 წ. 19 სექტემბერი. ხუთშაბათი. ფასი 8 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

მატჩი გადაიდო

როგორც ადრე ვუწყებდით, მსოფლიო პირველობაზე ნ. გაპრინდაშვილი — ა. კუშნირის მატჩი უნდა დაწყებულიყო დღეს, 19 სექტემბერს, ესტონეთის დედაქალაქ ტალინში.

მივიღეთ ცნობა, რომ მატჩი გადაიდო.

ამჟამად მოსკოვში, სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმი მატჩის მონაწილეებთან ერთად საბოლოოდ განიხილავს ორთაბრძოლის ჩატარების ადგილისა და მისი დაწყების თარიღის საკითხს.

ყველას აჯობეს

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა კომკავშირის იუბილესადმი მიძღვნილი შეჯიბრებანი ფეხბურთსა და ფრენბურთში, რომელიც წალენჯიხაში გაიმართა. ტურნირში მონაწილეობდნენ ადგილობრივი ჩაის საბჭოთა მეურნეობის, ჩაის № 1, ჯვარის, ჭალე-ფახულანის ფაბრიკების, წალენჯიხის 1-ლი მაისისა და ლენინის სახელობის, ჯვარის, ჩქვალერის, ნაკიფუს, ორჯონიკიძის კოლმეურნეობათა ფიზკულტურული კოლექტივების გუნდები. ყველას მეურნეობის სპორტსმენებმა აჯობეს.

ო. სალია.

ასზე მეტი

თბილისის მ. ბალანჩივაძის სახელობის მე-4 მუსიკალური სასწავლებლის სპარტაკიადის პროგრამაში 4 სახეობა იყო. სტარტზე 100-ზე მეტი ფიზკულტურელი გამოვიდა. ფრენბურთში ყველას 1-ლი კურსის II ჯგუფმა აჯობა. მაგიდის ჩოგბურთში უძლიერესის სახელი ვოკალური განყოფილების პირველკურსელმა ლალი კრივენკომ დაისაკუთრა. შაშში გაიმარჯვა საფორტეპიანო განყოფილების მეორეკურსელმა ელზა გობეჯიშვილმა, ჭადრაკში ჩემპიონები გახდნენ საფორტეპიანო განყოფილების მეორეკურსელი ლალი სიხარულიძე და მეოთხეკურსელი დალი რუხაძე. თვითეულმა 13-დან 11,5 ქულა დააგროვა. დამატებითი მატჩიც ფრედ დამთავრდა, ამიტომ ჩემპიონობა ორივეს მიეკუთვნა.

სპარტაკიადის ორგანიზებულად ჩატარებას ხელი შეუწყო პედაგოგების რ. რაზმაძის, თ. სალარაძის, ჭ. ნიკარაძის, უ. ლონდაძის, ლ. მელიქიძის კარგმა მუშაობამ.

ბ. დოლენჯაშვილი,
სპარტაკიადის მთავარი მსაჯი.

* * *

სურათზე: მოჭადრაკეთა ტურნირის მომენტი.

კორჩნოის პირველი ნარმატება

კიევი, 17 სექტემბერი. მხოლოდ ასეთი გამომწვევი თამაშით შეუძლია კორჩნოის გამარჯვებაზე ფიქრი, ამბობდნენ პრეს-ცენტრში ჟურნალისტები მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა კორჩნოი — სპასკის ფინალური მატჩის VI პარტიის მსვლელობის დროს. ლენინგრადელმა დიდოსტატმა მწვავედ გაითამაშა დებიუტი. მისი გრძელი როქის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ბრძოლა უშეღავათო იქნებოდა.

სპასკიმ გამოწვევა მიიღო და პაიკში ფიგურის შეწირვით მძაფრი იერიში წამოიწყო. კორჩნოი ფხიზლად იგერიებდა მუქარებს. ერთ მომენტში მოსკოველმა დიდოსტატმა ვერ მონახა მარჯვე გაგრძელება და კორჩნოიმ შვებით ამოისუნთქა.

25-ე სვლაზე სპასკის გამორჩა კორჩნოის ეფექტური დარტყმა და უპაიკოდ დარჩა. მაგრამ კორჩნოიმ ვერ მიაგნო უპირატესობის რეალიზების სწორ გეგმას, რითაც სპასკიმ ვერ ისარგებლა და დიდ განსაცდელში აღმოჩნდა.

კორჩნოიმ კიდევ ორი პაიკი მოიგო, ხოლო ეტლის შეწირვით ბრძოლა მოსაგებ ენდშპილში გადაიყვანა. პარტია გადაიდო. შეწყვეტილ პოზიციაში კორჩნოის კუ და სამი პაიკი აქვს ეტლში. მისი გამარჯვება ეჭვს არ იწვევს.

შემდეგ...

შედგა VI პარტიის დამთავრება. როგორც მოსალოდნელი იყო, კორჩნოიმ პირველი გამარჯვება იზეიმა.

ამრიგად, მატჩის ანგარიშია 3,5:2,5 სპასკის სასარგებლოდ.

მეხუთე პარტია

ბ. სპასკი — ვ. კორჩნოი

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მc3 e6 3. g3 d5 4. ed ed 5. კg2 მf6 6. მge2 d4 7. მe4 მ:e4 8. კ:e4 მd7 9. d3 მf6 10. კg2 კd6 11. 0—0 0—0 12. კf4 კg4 13. კ:d6 ლ:d6 14. h3 კd7.

სპასკიმ უპრეტენზიოდ გაითამაშა დებიუტი და არავითარი უპირატესობა არა აქვს. რა თქმა უნდა, მას ხელს აძლევდა გაცვლა e2-ზე, მაგრამ კორჩნოი თავს არიდებს გამარტივებას, მატჩში უხეირო მდგომარეობა უბიძგებს მას რთული თამაშისკენ.

15. მf4 ეfe8 16. ლd2 კc6 17. ეae1 მd7 18. კ:c6 ლ:c6 19. მg2 h6 20. f4.

იძულებითი წინსვლა. შავი მხედრის დაშვება e5-ზე არ შეიძლება. ცოტა ფიგურების გამო e3 უჯრის სისუსტე საშიში არ არის.

20. ... მf6 21. a3 b6 22. ლf2 a5 23. g4.

სპასკი ახალ გაცვლებს იწყებს.

23. ... ე:e1 24. ე:e1 ეe8 25. ე:e8+ ლ:e8 26. ლf3.

მართალია, ენდშპილი თანაბარია, მაგრამ მაინც იგრძნობა შავების უკეთესი განლაგება. კორჩნოი კიდევ უფრო აუმჯობესებს თავის პოზიციას.

26. ... ლe6 27. b3 მd5 28. a4 მb4 29. ლd1 h5.

ახლა 29. ... g5-ით კორჩნოი გარკვეულ უპირატესობას მიიღებდა. სხვათა შორის, სპასკის ყველაზე მეტად ამ სვლის ეშინოდა.

30. მფh2 hg 31. hg g6 32. g5 მფf8 33. მფg3 მფe7 34. ლd2 მd5 35. ლe1 ლ:e1+ 36. მ:e1 მფd6 37. მფf3 მფe6 38. მg2 მb4 39. მe1 მფf5 40. მფg3 მd5 41. მg2 მe3 (ჩაწერილი სვლა) 42. მe1 მd5 43. მg2 მe3 44. მe1 მფe6 45. მფf2 მფd6 46. c4 მფe6 47. მg2 მd1+ 48. მფf3 მc3 49. მh4 მa2 50. მფe2 მb4.

სპასკის მხედრების ენდშპილში გადაჰყავს თამაში, სადაც უფრო ადვილია დაცვა. კორჩნოი ამაოდ ცდილობს თეთრების დაცვითი გეგმის დარღვევას.

რა თქმა უნდა, b3 პაიკის აყვანა არ შეიძლებოდა მხედრის დაკარგვის გამო. შავები ვეღარ აუმჯობესებენ პოზიციას.

51. მფd2. ყაიმი.

„თბილისი" ფინალის ზღურბლზეა

წრიდან ბილიკზე მოტორბოლაში (სპიდვეი) სსრ კავშირის თასის I გათამაშება შარშანწინ ჩატარდა. მაშინ უძლიერესის სახელი უფის „ბაშკირიამ" მოიპოვა. ეს არც იყო გასაკვირი, ვინაიდან სსრ კავშირში პირველად სწორედ უფაში დაირწა ამ სახეობის აკვანი. აქ აღიზარდნენ გამოჩენილი ოსტატები — პლეხანოვი, კურილენკო და სხვანი, რომლებმაც შემდეგ საერთაშორისო სარბიელზეც ბევრჯერ ისახელეს თავი.

სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადის სპორტის ტექნიკურ სახეობებში შეჯიბრების პროგრამაში სპიდვეიც შეიტანეს, რამაც ხელი შეუწყო მის სწრაფად განვითარებას: სპარტაკიადაზე გუნდები თითქმის ყველა რესპუბლიკამ გამოიყვანა, თასისთვის მორიგ ბრძოლაში კი ყველას აჯობეს დაუგავპილსის „ლოკომოტივის" მოტოციკლისტებმა.

სსრ კავშირის თასის წლევანდელ გათამაშებაში 16 გუნდი დაუშვეს, მათ შორის თბილისის „თბილისიც". მეოთხედფინალები ნოვოსიბირსკში, დაუგავპილსში, სალავათსა და ერევანში გაიმართა. ამ ქალაქებში 4-4 გუნდი გამოდიოდა, ნახევარფინალებში კი 2-2 უნდა გასულიყო, ნახევარფინალებს თავის მხრივ, ფინალის 2-2 საგზური უნდა მიეცა.

უკვე ცნობილია 2 ფინალისტი. ესენია უფის „ბაშკირია" და ბალაკოვოს „კორდი". თუ ვინ იქნებოდა სხვა 2 ფინალისტი, ამ კითხვაზე პასუხი თბილისის ნახევარფინალურ ტურნირს უნდა გაეცა. აქ ასპარეზობის უფლება მასპინძლების გარდა დაუგავპილსის „ლოკომოტივმა", ლვოვის „სელმაშმა" და ელისტის „ტაიფუნმა" მოიპოვეს. და აი, გუშინწინ ფინალის საგზურის მაძიებელთა ტურნირის I ნახევარი მოეწყო.

როგორია რეგლამენტი? მეტოქეებს 4-4 სპორტსმენი გამოჰყავთ. ისინი 8-8-ჯერ გამოდიან სტარტზე, ამასთან, ყოველი გამოსვლისას ახალახალ მეტოქეებს ეჯიბრებიან. ცდაზე ფინიშთან პირველად მოსულ სპორტსმენს (და გუნდსაც) 3 ქულა ეწერება, მეორეს — 2, მესამეს — 1. გამარჯვებულია ის, ვინც ყველაზე მეტ ქულას დააგროვებს.

გუშინწინ თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე შეკრებილ მაყურებელს თავის ოსტატობას უჩვენებდა 8 სპორტის ოსტატი, 6 ოსტატობის კანდიდატი და 5 პირველთანრიგოსანი (3 სათადარიგო იყო), მაგრამ ყველაზე უკეთესად მასპინძლებმა იასპარეზეს.

თბილისელმა სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ვ. კლემენტიევმა საერთო აღიარება შარშანვე მოიპოვა, სპეციალისტებმა სათანადოდ შეაფასეს მისი გამბედაობა, შემართება, ტაქტიკური ალღო. ამიტომაც ჩარიცხეს იგი სსრ კავშირის ნაკრებში. მაგრამ ახლა კლემენტიევს არც სხვა თანაგუნდელები: სპორტის ოსტატი ს. ლიომინიდი, ოსტატობის კანდიდატი ვ. ბუვაევი და პირველთანრიგოსანი პ. ზელენსკი ჩამორჩებოდნენ. თბილისის გუნდს ეტყობა არ სურს თავისი გულშემატკივრების გაწბილება.

წინასწარ ვიტყვით, მასპინძლებმა ყველა ბრძოლა მოიგეს. ამ დღეს მათ 48 ქულა მოაგროვეს და უახლოეს მეტოქეს „ლოკომოტივს" 30 ქულით გაასწრეს. „ტაიფუნს" ჯერჯერობით 16, ხოლო „სელმაშს" — 13 ქულა აქვს.

როგორ წარიმართა ბრძოლა? ვინ აჩვენა დღის საუკეთესო დრო?

პირველ ცდაში ბ. სტუპაკოვთან („ლოკომოტივი"), ა. პოდგორნისთან („სელმაში") და ვ. გლადკოვთან („ტაიფუნი") ბრძოლაში ბუვაევი თავიდანვე დაწინაურდა. როცა რბოლა დაამთავრა, წამმზომებმა 1.20,0 აჩვენეს. ეს დრო გახდა სხვათა ორიენტირი. მეორე ცდაში ლიომინიდი ებრძოდა ს. ლიატოსინსკის („სელმაში"), ვ. ივანიშინს („ლოკომოტივი") და კ. ულსკის („ტაიფუნი"). მეტოქენი იმდენად ღელავდნენ, რომ მსაჯებმა სამჯერ აღნიშნეს ცრუ სტარტი. რბოლა მოიგო ლიომინიდიმ, მაგრამ ბუვაევთან 0,6 წამი წააგო.

მესამე ცდა. აქ გამოდიოდა თბილისელთა ლიდერი კლემენტიევი. მას არც გამარჯვება გაჭირვებია, არც თანაგუნდელის შედეგის გაუმჯობესება: რბოლა 1.18,0-ში დაამთავრა, მაგრამ არც ეს იყო ამ დღის საუკეთესო შედეგი. როცა კლემენტიევი სარბიელზე მეორედ გამოვიდა, უფრო სწრაფად იარა — 1.17,9. ამ შედეგის გაუმჯობესება დიდხანს მანაც ვერ შეძლო და მხოლოდ ბოლო, მე-16 ცდაზე მიაღწია მიზანს. ულსკისთან, ი. პერკერთან („ლოკომოტივი") და პოდგორნისთან ჭიდილში თბილისელმა 4 წრე 1 წუთსა და 16,2 წამში გაიარა.

ერთი სიტყვით, თბილისელებმა ნახევარ ფინალში გამარჯვების კარგი განაცხადი გააკეთეს და თუ ისინი ფინალში, რომელიც 21-22 სექტემბერს აქვე გაიმართება, ახევე იბრძოლებენ, მათ გამარჯვებას უნდა ველოდეთ.

ნ. ბიბილაშვილი.

* * *

სურათზე: შეჯიბრების მომენტი. ფოტო მ. ზარგარიანისა.



სვანეთის მთებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბანაკი „აილამა“

შეიძლება ბევრმა არ იცის, რომ ლენტეხის რაიონის სოფელ ყურულდაში, მწვერვალ „აილამას“ ძირას 1965 წელს დაარსდა ალპინისტური ბანაკი „აილამა“.

ბანაკის სეზონი ივნისში იწყება და გრძელდება სექტემბრის ბოლომდე. თითო ცვლაში ბანაკი საშუალოდ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ 100-120 მონაწილეს მასპინძლობს, ამზადებს 550-მდე ალპინისტს და ახორციელებს სხვადასხვა მწვერვალზე 1000-მდე ასვლას.

ბანაკ „აილამას“ უფროსია გიორგი ჯაფარიძე, სასწავლო ნაწილის გამგე ირაკლი ბაქრაძე. მათი და ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით მონაწილეები გადიან მეცადინეობის ოთხ ეტაპს.

როგორც სპეციალისტებისთვისაა ცნობილი, ყველა მწვერვალზე ასასვლელი გზა სიძნელეების მიხედვით კატეგორიებად იყოფა.

რასაკვირველია, ახალბედებს საბჭოთა კავშირის ალპინისტის ნიშნის მოსაპოვებლად სჭირდებათ ყველაზე დაბალი კატეგორიის სიძნელის მარშრუტით გავლა, ხოლო ნიშნისნებს — III თანრიგისთვის, უფრო ძნელი მარშრუტებით გარკვეული მწვერვალების დაპყრობა და ა. შ.



ბანაკ „აილამაში“ მონაწილეთა ცხოვრება დილის ვარჯიშით იწყება. ალპინისტები 8 საათზე ხაზზე ეცნობიან მთელი დღის დატვირთვის გეგმას. ყოველდღიურად, გარდა დასვენების დღისა, ბანაკის შახლობელ ფერდობზე მათთვის ტარდება სასწავლო-საწვრთნელი ვარჯიში. სადილის შემდეგ ისინი 5-დან 7 საათამდე კლუბში ისმენენ თეორიული ხასიათის ლექციებსა-საუბრებს, ხოლო ვახშმობის შემდეგ მთელი საღამო მათ განკარგულებაშია, რომელსაც ისინი გართობა-დასვენებისთვის იყენებენ.

დიდი ხალხმრავლობა იყო ბანაკში აგვისტოში. განსაკუთრებით ბევრი ქართველი გოგონა ეწვია ამ პერიოდში ბანაკს. უნდა ითქვას, ქართველი გოგონების უმრავლესობამ ალპინისტობაზე უარი თქვა. ისინი ტურისტებად დარჩნენ მხოლოდ. მიუხედავად ამისა, მაინც საინტერესოდ გაატარეს დრო ამ ბანაკში დარჩენილმა ტურისტებმა. ბანაკის ხელმძღვანელობის დახმარებით, მათ რამდენიმე გასვლა მოაწყეს ზესხოს ხეობაში, უშგულში, კალაში, იფარსა და მესტიაში. რასაკვირველია, არც ტურისტობაა ცუდი, მაგრამ სასურველი იყო, რომ ქართველ გოგონებს ალპინისტობაშიც ეცადათ ბედი.

29 აგვისტოს დიდი გამოცოცხლება იყო ბანაკის ტერიტორიაზე. მეორე ცვლა იწურებოდა. ამ დღეს აქ ბრუნდებოდა ახალბედათა დიდი ჯგუფი, რომლებსაც ერთი მწვერვალი და ორი გადასასვლელი უკვე დაეპყროთ და ნიშნისნები უხდა გამხდარიყვნენ.

ორი დღის შემდეგ, 31 აგვისტოს მონაწილეებმა დასტოვეს ბანაკი და დაუბრუნდნენ თავიანთ სახლებს.

მეორე დღეს ბანაკი ახალ ცვლას ელოდა. ორი ჯგუფი მწვერვალ „აილამას“-დაპყრობისთვის ემზადებოდა.

დაპყრობილი კედელი

ბანაკ „აილამაში“ ხორციელდება სპორტული ასვლები, რომლებიც სირთულით საბჭოთა კავშირის უძლიერეს კედლებზე ასვლებს შეეფარდება; ასეთ ასვლებს შორის აღსანიშნავია სპორტის ოსტატ ალპინისტის შალვა მარგიანის მიერ მწვერვალ „აილამას“ II კოშკის დაპყრობა ურთულესი კედლის გავლით.

მწვერვალ „აილამას“ სამხრეთი კედელი თავისი სირთულით დიდი ხანია იპყრობდა მთამსვლელთა ყურადღებას. 1965 წლიდან განაცხადი განაცხადზე იწერებოდა ამ მარშრუტის გასავლელად. არა ერთმა და ორმა სპორტსმენმა სცადა ამ კედლის გავლით „აილამაზე“ ასვლა, მაგრამ მათი ცდები, სხვადასხვა მიზეზების გამო, ყოველთვის უშედეგოდ მთავრდებოდა...

არიან ადამიანები, რომელთაც სიძნელეების გადალახვა დაუსახავთ მიზნად, არაფრის წინაშე არ დრკებიან, სანამ არ მიაღწევენ საწადელს. ასეთ შეუპოვართა რიცხვს ეკუთვნის შალვა მარგიანი.

1 სექტემბერს 4-კაციანი ჯგუფი შალვა მარგიანის ხელმძღვანელობით შეუდგა მწვერვალ „აილამას“ დალაშქვრას.

მძიმე პირობებში უხდებოდათ კედელზე ასვლა ბანაკის მაშველი რაზმის უფროსს შალვა მარგიანს, ბანაკის ინსტრუქტორებს ვიქტორ სერებრიაკოვს, უაბარდოელ ჰასან შამახოვს და ესტონელ ვილო პარკს.

მწვერვალზე გასვლის მეორე დღესვე ცადაზიდული ყინულოვანი მთები ნისლმა დაფარა. უამინდობის გამო ჯოგრიტის თვალთახედვიდან დაიკარგნენ მთამსვლელები. მხოლოდ საღამოობით, კედლიდან ცაში ატყორცნილი შუშხუნით იგებდა ბანაკი მათ ადგილსამყოფელს. 6 სექტემბრის 17 საათისთვის მცირე ხნით მოსცილდა მწვერვალს ღრუბლები და მაშინ შენიშნეს „აილამას“ ცენტრალურ II კოშკთან მიახლოებული ოთხეული. ბანაკი მეორე დილისთვის ელოდა გამარჯვებულთ. საღამოს მწვერვალიდან არავითარი ნიშანი არ იყო.

ბანაკს არ ეძინა. მეორე დღისთვის სამოქმედო გეგმას აწყობდა. უკვე დაპყრობილი კედლის მეორე მხარეს თურმე ღრმა ძილს მისცემოდნენ გამარჯვებული ალპინისტები.

7 სექტემბერს ბანაკმა უჩვეულო შეხვედრა მოუწყო მამაც ოთხეულს. ამ დღეს დიდხანს არ შეწყვეტილა მხიარული შეძახილები.

ამ გამარჯვებით შალვა მარგიანის ტიტულს საპატიო დაემატა და ამიერიდან ის გახდა სპორტის საპატიო ოსტატი, ხოლო მის ოცდაერთ ხუთიანს ერთი ხუთიანიც მიემატა.

„თეთრი უცნობიდან“ — „აილამამდე“

აგვისტოში ბანაკ „აილამას“ ბაზაზე თბილისის სპორტკავშირის ექსპედიცია იმყოფებოდა. ექსპედიციის მიზანი იყო მონაწილეობა მიეღოთ 1968 წლის საქართველოს პირველობაზე გამოცხადებულ საკონკურსო ალპინისტურ ასვლებში, რისთვისაც გადაწყვეტილი ჰქონდათ მწვერვალების „თეთრი უცნობისა“ და „აილამას“ დაპყრობა.

პირველად ჯგუფმა „თეთრ უცნობზე“ მიიტანა იერიში. ოთხი დღის შემდეგ გახარებული ოთხი ბაბუკი დაბრუნდა უკან. მათ მწვერვალი IV და V კატეგორიის სიძნელის მარშრუტებით დაიპყრეს. IV კატეგორიის სიძნელის კლასიფიცირებული მარშრუტით მწვერვალზე ოთხი კაცი — გოგი ბაქანიძე, ვიქტორ რიბინსკი, დევი თარხნიშვილი და ირაკლი გელდიაშვილი ავიდა. მეხუთე კატეგორიის სიძნელის გაუვლელი გზით კი მწვერვალი გ. ბაქანიძემ და ვ. რიბინსკიმ დაიპყრეს.

აღნიშნული საკონკურსო ასვლების გარდა ჯგუფმა ბანაკში ყოფნის დროს სხვა ასვლებიც განახორციელა. კერძოდ, ისინი ავიდნენ მწვერვალ „წურუნგალაზე“. განსაკუთრებით ღელავდა ჯგუფი ამ მწვერვალზე ასვლის წინ.

პირველად, ცოტა არ იყოს, გაგვაკვირვა ამ ასვლამ, რადგან აღნიშნული მწვერვალი საკონკურსოდ არ იყო გათვალისწინებული. ჩვენს კითხვაზე, — რამ გაიძულათ ასულიყავით ერთხელ უკვე ნამყოფ მწვერვალზეო, ბაქანიძემ გვაპასუხა:

— გასული წლის 31 ივლისს ამ მწვერვალზე უბედური შემთხვევის გამო დაიღუპა ჩემი ძმა დათო ბაქანიძე. წელს ჩემი ძმის მეგობრებმა, ვიქტორ რიბინსკიმ, დევი და გია თარხნიშვილებმა და მე გადავწყვიტეთ გვენახა ის ადგილები, სადაც ეს საშინელი ამბავი მოხდა, გვინდოდა შემთხვევის ადგილას რამე სამახსოვრო ნიშანი გაგვეკეთებინა.

ახლა კი გასაგები გახდა გოგის ხშირი მოწყენის მიზეზი და ისიც, თუ რატომ ელავდნენ მთამსვლელები ასე „წურუნგალაზე“ ასვლის წინ.

მართლაც და მათ იქ დაკარგეს ადამიანი, რომლის შესახებ საუბარი მღელვარების გარეშე შეუძლებელი აღმოჩნდა. 18 წლის დავით ბაქანიძე ყველაზე ახალგაზრდა და ყველაზე პერსპექტიული მთამსვლელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის III კურსის ფრიადოსანი სტუდენტი იყო. მის ასაკისთვის უჩვეულო ერუდიციის მქონე ახალგაზრდას, ერთნაირად იტაცებდა მეცნიერება, ხელოვნება, სპორტი და საზოგადოებრივი საქმიანობა. მას ერთნაირ სიამოვნებას ჰგვრიდა მთაზე ასვლა და კლდეზე ცოცვა. ის საქართველოს კლდეზე მცოცავთა ნაკრების შემადგენლობაში შედიოდა, იყო სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ ალპიური სექციის პრეზიდიუმის წევრი.

უცნაურობამდე მოუსვენარს, დიდი გრძნობისა და მღელვარების მქონეს განსაკუთრებით იზიდავდა მთა. პირველად მის მშვენიერებას 13 წლისა ეზიარა. მოულოდნელი იყო მისი დაღუპვა „წურუნგალას“ უკვე დაპყრობილ მწვერვალზე. ის ჩანჩქერივით მოვარდა და გაქრა უმალვე, გაქრა და თან დაგვიტოვა უზომო სევდა და დიდი სურვილი ჩვენთან ყოფნისა.

1 სექტემბერს ბანაკიდან მწვერვალ „აილამასკენ“ დაიძრა ორი — შ. მარგიანისა და გ. ბაქანიძის ჯგუფი. ისინი ერთმანეთის პარალელურად ადიოდნენ მეხუთე კატეგორიის სიძნელის მარშრუტით მწვერვალზე. ისინი იმდენად ახლოს იყვნენ ერთმანეთთან, რომ საუბრის და რჩევის მიცემის საშუალებაც კი ჰქონდათ.

გ. ბაქანიძის ჯგუფი „აილამას“ აღმოსავლეთი კედლის დასავლეთის მარშრუტით ადიოდა მწვერვალზე. ჯგუფმა „აილამას“ პლატოზე მეთვალყურეებად ექსპედიციის წევრები გია თარხნიშვილი და ირაკლი გელდიაშვილი დატოვა. ჯგუფსა და ბანაკს შორის ერთადერთი კავშირი კვლავ შუშხუნა იყო.

4 სექტემბერს საღამოს, როცა ღამე და ნისლი ერთად ჩამოწვა მთაში, ბანაკს ბაქანიძის ჯგუფისგან არ მიუღია არავითარი ნიშანი, სამაგიეროდ, „აილამას“ პლატოზე აინთო ორი შუშხუნა, რაც გამარჯვებული მთამსვლელების პლატოზე მშვიდობით დაბრუნებას ნიშნავდა.

5 სექტემბერს ბანაკში დაბრუნდნენ გამარჯვებული მთამსვლელები. ისინი მთელი ყურადღებით ადევნებდნენ თვალს მწვერვალზე დარჩენილ მარგიანის ჯგუფს, რომელიც დღე-დღეზე უნდა დაბრუნებულიყო. მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა შალვა მარგიანმა ბანაკში დაბრუნებით „აილამას“ ხელმეორედ დაპყრობის სასიხარულო ამბავი შეგვატყობინა.

ლია გოგელია.

* * *

ხურათებზე: ზევით — გამარჯვებული მთამსვლელები (მარჯვნიდან) შ. მარგიანი, გ. ბაქანიძე, ვ. სერებრიაკოვი, ვ. პარკი და ჰ. შამახოვი; ქვევით — მწვერვალისკენ.

ფოტო ვ. რიბინსკისა.

მესამეზე...

სიმფეროპოლში დამთავრდა „ლოკომოტივის“ ცენტრალური საბჭოს წლევანდელი ჩემპიონატი კალათბურთელ ვაუთა შორის. თბილგვირაბმშენის გუნდმა „მეტრომშენმა“ მანამდე როსტოვის ზონალურ ტურნირში ისახელა თავი და ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. თბილისელებმა აქაც კარგად იასპარეზეს — ოთხი შეხვედრა მოიგეს და III საპრიზო ადგილი დაიხაკუთრეს. გუნდის შემადგენლობაში იყვნენ ი. პულავსკი, ე. ორბელაძე, თ. ერისთავი, თ. ყურული, თ. სუბანსკი, გ. მოშნიაგუნი, ვ. მხეიძე, ხ. გალუსტოვი, ვ. კლიმიაშვილი და თ. ფოფხაძე. გუნდს წვრთნის კალათბურთის ვეტერანი რ. მესხიშვილი.

* * *

ხურათზე: თბილისის „ლოკომოტივი“ ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის

პირველობა

ფეხბურთი

ცსკა—„ჩერნომორეცი“ 2:2. მატჩი, რომელიც „დინამოს“ სტადიონზე ჩატარდა, ოდესელთა მძაფრი შეტევებით დაიწყო და მე-18 წუთზე შიმანოვიჩმა ლამაზი თავური დარტყმით გახსნა კიდეც ანგარიში. 6 წუთის შემდეგ არმიელმა შულიატიკამ აღადგინა წონასწორობა. მე-80 წუთზე „ჩერნომორეცი“ ამ მატჩში ერთხელ კიდევ დაწინაურდა (ზვენიგოროდკი). საპასუხო გოლი არმიელებმა გაიტანეს 86-ე წუთზე (პოლიკარპოვი).

„კაირატი“ — „ტორპედო“ (მოსკოვი) 1:0. ალმაათელებს ჩემპიონატის ბოლო მატჩებში აშკარად არ წყალობთ ბედი. გუნდს არც თავის და არც მეტოქის მოედანზე დიდი ხანია არ მოუგია შეხვედრა და აი, პოლოსდაბოლოს „კაირატმა“ გაახარა გულშემატკივრები. აუტსაიდერმა მინიმალური ანგარიშით დაამარცხა ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი მოსკოვის „ტორპედო“ — 1:0. გამარჯვების გოლი 36-ე წუთზე გაიტანა მუსინმა.

„პახტაკორი“ — „კრ. სოვეტოვი“ 1:0. ამ დღეს ტაშკენტელთა რიგებში არ თამაშობდნენ აბდურაიმოვი და კრასნიცკი. როგორც ჩანს, „კრილია სოვეტოვი“ ამან ზედმეტად დაამშვიდა. მაგრამ „პახტაკორის“ ახალგაზრდა ფეხბურთელებმა დაამტკიცეს, რომ საჭიროების შემთხვევაში მათაც შეუძლიათ „კლანჭების“ გამოჩენა. გოლი, რომელმაც გამარჯვება მოუტანა მასპინძლებს, 48-ე წუთზე პეტუხოვმა გაიტანა.

„დინამო“ (მინსკი) — „ლოკომოტივი“ 2:0. მასპინძლები დაჟინებით უტევდნენ პირველ ტაიმში, მაგრამ ანგარიშის გახსნა შესძლეს მხოლოდ შესვენების შემდეგ — მე-60 წუთზე ბურთი გაიტანა არზამასცევმა. 19 წუთის შემდეგ მალოფეევმა განამტკიცა თავისი გუნდის წარმატება.

„ზენიტი“—„სპარტაკი“ 1:0. ეს იყო გამოუყენებელი შესაძლებლობათა მატჩი. ლენინგრადელ გუნდს ჰქონდა ანგარიშის გახსნის რამდენიმე შესაძლებლობა, მაგრამ პირველი და ერთადერთი გოლი, რომელმაც მასპინძლებს გამარჯვება მოუტანა, გავიდა 76-ე წუთზე ვიუნის უძლიერესი დარტყმის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ არასპორტული საქციელისთვის მსჯავშინდვრიდან გააძევა სპარტაკელი ლოგოფეტი.

ᲥᲐᲢᲯᲘᲒᲘ, ᲒᲝᲚᲘᲒᲘ, ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ

განწყობა — ტაქტიკის საფუძველი

ლუგანსკი. „ავანგარდის“ სტადიონი. 17 სექტემბერი.
„ზარია“ (ლუგანსკი) — „დინამო“ (თბილისი) 0:0.

„ზარია“: ტკაჩენკო, შულეუნკო, რაშჩუპკინი, აბრამოვი, ა. ჟურავლიოვი, ბ. ჟურავლიოვი, ნაზაროვი, მუსიენკო, ბ. სტრელცოვი, ლიტვინოვი, აუზნეცოვი (შატაევი).

„დინამო“: ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, მაჩაიძე (კუტიავაძე), პეტრიაშვილი, ილიადი, ასათიანი, გავაშელი, გ. ნოდია (მეტრეველი), მესხი.

მსაჯი: ი. ჩერნიკოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 1:1.

ამ მატჩს არავითარი სიამოვნება არ მოუგვრია მაყურებლებისათვის, რომლებმაც საინტერესო ორთაბრძოლის მოლოდინში პირამდე შეავსეს „ავანგარდის“ სტადიონი. საქმე მარტო ის როდი გახლავთ, რომ მეტოქეებმა ვერ აიღეს კარები, 90 წუთის მანძილზე ვერც ერთი ნამდვილად მწვავე და საზიფათო მომენტი ვერ შექმნეს. ორივე გუნდი მთელი მატჩის მანძილზე თითქოს ვალს უფრო იხდიდა, ვიდრე თამაშობდა, იბრძოდა.

დინამოელთათვის, რა თქმა უნდა, 2 ქულა საჭირო იყო, რადგან იგი ლიდერთა რიგებში გადასვლის საშუალებას მისცემდა, მაგრამ 1 ქულაც არ უნდა ყოფილიყო ცუდი ნადავლი (გაიხსენეთ ჯერ კიდევ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენს ფეხბურთში საკუთარი კედლების უპირატესობას). მით უმეტეს, რომ გუნდი მომდევნო მატჩების ჩასატარებლად ლუგანსკიდან პირდაპირ შინ მიეშგზავრება.

როგორც ჩანს, სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა დინამოელთა განწყობა. რომელიც მატჩის მსვლელობაში უკვე ტაქტიკად იქცა. საკმაოდ რთული ამოცანა ჰქონდათ გადასაწყვეტი მასპინძლებს: სტუმრების ტექნიკური უპირატესობის ნეიტრალიზება. ამიტომაც, მათ შეხვედრის პირველსავე წუთიდან მიმართეს მეურვეობის იმ პრინციპს, კალათბურთელები პრესინგს რომ უწოდებენ.

სიმაღლიდან რომ დაგეხედათ სტადიონისთვის, შეამჩნევდით მოედნის ამა თუ იმ კუთხეში მდგარ წყვილებს, რომლებიც უჩვეულოდ სინქრონულად მოძრაობდნენ. თავისუფალ ფეხბურთელს (მეტწილად დინამოელთა შორის) შემთხვევით თუ მოჰკრავდით თვალს. მას უმალ უნდა ასდევნებოდა მეურვე მეტოქის ბანაკიდან. ცხადია, სწორედ ასეთმა ტაქტიკამ განაპირობა მატჩის მეტად მდორე პულსი.

ერთგვარი გამოცოცხლება შესამჩნევი გახდა შეხვედრის მიწურულში. გააქტიურდნენ ფლანგები, ათამაშდა ნახევარდაცვა, მაგრამ ორთავე საჯარიმო მოედანი კვლავ შეუვალი იყო. ლუგანსკელებმა ზედ მსაჯის საფინალო სასტვენის წინ ორი კუთხური ჩამოაწოდეს, მაგრამ რეალური საფრთხე დინამოელთა კართან არ შექმნილა.

მსაჯმა 78-ე წუთზე შეკამათებისათვის მინდვრიდან გააძევა კუტიეაძე.

ნ. ტორმოზოვი.

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 19 სექტემბრისთვის

„Ე“ ᲯᲔᲯᲚᲘ

I ᲯᲒᲣᲤᲘ

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (კიევი)	29	17	10	2	43—17	44
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	28	16	6	6	44—28	38
„ტორპედო“ (მოსკოვი)	28	13	10	5	42—23	36
ცსკა	28	13	9	6	36—23	35
„დინამო“ (მინსკი)	28	13	9	6	31—21	35
„დინამო“ (თბილისი)	28	11	10	7	32—17	32
„დინამო“ (მოსკოვი)	29	12	8	9	37—28	32
„ჩერნომორეცი“ (ოდესა)	28	10	11	7	39—34	31
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	28	10	11	7	28—26	31
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	28	8	12	8	25—33	28
„შახტიორი“ (დონეცკი)	27	8	10	9	27—26	26
ასკ (როსტოვი)	28	9	8	11	34—36	26
„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	28	8	9	11	18—21	25
„ზარია“ (ლუგანსკი)	29	8	9	12	16—32	25
„ნეფტჩი“ (ბაკო)	28	8	8	12	26—36	24
„ტორპედო“ (ქუთაისი)	29	6	8	15	23—35	20
„არარატი“ (ერევანი)	27	7	5	15	24—38	19
„კაირატი“ (ალმა-ათა)	28	6	7	15	18—32	19
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)	28	6	7	15	28—49	19
„დინამო“ (კიროვაბადი)	28	4	9	15	16—32	17

„Გ“ ᲯᲔᲯᲚᲘ

შედგა მორიგი კალენდარული ტურის შეხვედრები III და IV ზონებში. ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ:

ზუგდიდიდან...

ადგილობრივმა „ენგურმა“ თავის მინდორზე მიიღო გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი, ნოვოროსიისკის „ცემენტი“. ამ გუნდების პირველი წრის მატჩი მოიგო „ცემენტმა“ 4:0. სწორედ ამიტომ, მასპინძლები რევანშის წყურვილით გამოვიდნენ მოედანზე და უნდა ითქვას, რომ საწადელს მიაღწიეს. 2-ჯერ ალმასიამ, თითოჯერ—ბენდერავამ და აბრალავამ მეტოქე აიძულეს თამაში ცენტრიდან დაეწყოთ. „ენგურმა“ გაიმარჯვა — 4:0. ამ შეხვედრაში ზემოთჩამოთვლილ ფეხბურთელთა გარდა თავი გამოიჩინეს კეშულარიამ და განსაკუთრებით, ზუგდიდელთა ახალგაზრდა მეკარე ცაავამ.

ბ. ალშიბაია.

რუსთავიდან...

„მეტალურგის“ მორიგი მეტოქე ამჯერად გათამაშების ერთ-ერთი აუტსაიდერი ელისტას „ურალანი“ გახლდათ. პირველი ბურთი სტუმრების კარში გაიტანა კონიაშვილმა რუსთაველთა ახალგაზრდა ფორვარდის მეტრეველის მიწოდებიდან. ეს მოხდა მატჩის 36-ე წუთზე. ერთი წუთის შემდეგ კი გვენცაძემ საჯარიმოდან გაზარდა ანგარიში. შესვენების შემდეგ იმავე კონიაშვილმა (68-ე წ.) და რეხვიაშვილმა (84-ე წ.) კიდევ თითო ბურთი გაიტანეს და „მეტალურგმა“ გაიმარჯვა ანგარიშით 4:0.

რ. გაბრიელიძე.

ცხინვალიდან...

ადგილობრივმა „სპარტაკმა“ 3 გასვლითი მატჩი წააგო. გულშემტკივრები ვარაუდობდნენ, რომ ცხინვალელი ფეხბურთელები შინ, თელავის „კახეთთან“ მაინც მიაღწევდნენ წარმატებას, მაგრამ მოტყუვდნენ. მე-18 წუთზე ჯამრულიძემ კარგად გამოიყენა ცხინვალელთა დაცვის შეცდომა და გახსნა ანგარიში. ამის შემდეგ, მასპინძლები ორჯერ უშვებენ ხელიდან ანგარიშის გათანაბრების ნაღდ შესაძლებლობას (ვიაევი და ჯიჭოევი). II ტაიმში სტუმრებმა (ჯაკვ-ძე) კიდევ ერთი გოლი გაიტანეს და მხოლოდ ამის შემდეგ გააქტიურდნენ მასპინძლები. მე-80 წუთზე ჯანგავაძემ ანგარიში გახადა 2:1, ხოლო მატჩის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე ხახანოვმა მეორედ შეარხია სტუმრების კარის ბადე — 2:2.

ვ. მელქოევი.

გორიდან...

„დილამ“ წარუმატებლად ჩაატარა ბოლო 3 გასვლითი მატჩი. მან 6 შესაძლებლიდან მხოლოდ ქულა აიღო. ამიტომ იგი განსაკუთრებით აგრესიულად იყო განწყობილი ალექსანდროვსკაიას „კოლოსთან“ შეხვედრაში. მით უმეტეს, რომ ამ გუნდების პირველი წრის მატჩი სტუმრების სასარგებლოდ დამთავრდა. მიუხედავად იმისა, რომ „დილამ“ გაიმარჯვა, მისმა თამაშმა მაყურებლებს სიამოვნება ვერ მოჰგვარა განსაკუთრებით უსისტემოდ თამაშობდა მისი ნახევარდაცვა. ანგარიში 35-ე წუთზე გახსნა კაპანაძემ. პირველი ტაიმის დამთავრებამდე გელდიაშვილმა და ისევ კაპანაძემ „დილა“ კიდევ ორჯერ დააწინაურეს — 3:0. II ნახევარში ივანოვმა „კოლოსის“ კარში მეოთხე ბურთი გაიტანა, რასაც სტუმრებმა 2 გოლით უპასუხეს (ორივე ბურთის ავტორია ჰოდჩასოვი). შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 4:2 მასპინძლების სასარგებლოდ. აღსანიშნავია, რომ „კოლოსის“ მეკარე ზუბკოვმა მოიგერია კაპანაძის მიერ დარტყმული 11-მეტრიანი საჯარიმო.

გ. გოგსალიშვილი.

• • •

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა:

III ზონა

„ალაზანი“ (გურჯაანი) — „უროჟაი“ (სვეტლოგრადი) 0:0, „უროჟაი“ (მაიკოპი) — „უროჟაი“ (ლაბინსკი) 4:1, „ხიმიკი“ (ბალაკოვო) — „უროჟაი“ (სლავიანსკი) 1:0, „ენერგია“ (ვოლესკი) — „ხიმიკი“ (ნევინომისკი) 0:1.

IV ზონა

„მაღაროელი“ (ჭიათურა) — „უროჟაი“ (დერბენტი) 2:1, „არაქსი“ (ეჩმიაძინი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 3:1, „დინამო“ (სოხუმი) — „სპარტაკი“ (კისლოვოდსკი) 1:1, „კოლხეთი“ (ფოთი) — „უროჟაი“ (კრიმსკი) 2:0.

საქართველოს ჯიჯველოჯა

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები:

● **„ქართლი“ (გორის რაიონი) — „აერო“ (გალი) 4:2. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).**

შეხვედრის პირველი ნახევარი მასპინძლების უპირატესობით აღინიშნა, რომლებმაც გალელთა კარში 2 „მშრალი“ ბურთი გაიტანეს. შესვენების შემდეგ „ქართლის“ ფეხბურთელებმა კვლავ ერთხელ შეარხიეს მეტოქის კარის ბადე. შემდეგ კი მდგომარეობა გათანაბრდა. მასპინძლების ერთ ბურთს სტუმრებმა ორით უპასუხეს და დროც ამოიწურა.

● **ასკ (თბილისი) — „არაგვი“ (მცხეთა) 2:0. მსაჯი ვ. გოჩაშვილი (თბილისი).**

შეხვედრა საინტერესო და დაძაბული ბრძოლით აღინიშნა. დასაწყისში სტუმრებმა არმიელებს შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ ლიდერის გამოცდილებამ და ტექნიკურმა უპირატესობამ მაინც თავისი გააკეთა. 38-ე წუთზე ლობზვამ კარგად გამოიყენა „არაგვის“ მცველთა უხეში შეცდომა და ანგარიში გახსნა. არმიელები შესვენების შემდეგაც თამაშობდნენ გაბრნეულად, მწვავედ და მჭედლიშვილმა მეორედ დააწყებინა მცხეთელებს თამაში ცენტრიდან.

● **„ფეიქარი“ (წულუკიძე) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 2:1. მსაჯი ნ. კონდახსაზოვი (თბილისი).**

მატჩი ორმხრივი იერიშებით დაიწყო. 25-ე წუთზე მასპინძლების მცველები უხეშ შეცდომას უშვებენ და გოგოჩია ხსნის ანგარიშს. შესვენების შემდეგ ინიციატივა მთლიანად წულუკიძელთა მხარეს გადადის, მაგრამ ისინი დიდხანს ვერ ახერხებენ ანგარიშის გათანაბრებას. 66-ე წუთზე მათ გააქვთ საპასუხო ბურთი, ხოლო მატჩის მიწურულში ვაშაკიძეს გამარჯვება მოაქვს თავისი კოლექტივისთვის.

● **„სპარტაკი“ (ბორჯომი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 0:2. მსაჯი ლ. ღონღაძე (თბილისი).**

ზესტაფონელმა მიხელაშვილმა 2 ბურთი გაიტანა და თავის გუნდს მოუტანა გამარჯვება.

● **„ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „კოლმეურნე“ (წალენჯიხა) 3:2. მსაჯი გ. აკობაშვილი (თბილისი).**

შეხვედრის მე-19 წუთზე სამტრედიელმა მანჯგალაძემ გახსნა ანგარიში, მაგრამ მასპინძლების უპირატესობა ერთხანს ამ გოლით ამოიწურა. ხოლო მას შემდეგ, რაც ბაჩუკაშვილმა გაიტანა საპასუხო გოლი. ინიციატივა კვლავ რკინიგზელთა მხარეს გადავიდა და დოლიძემ მეორე ბურთი გაიტანა. შესვენების წინ ბაჩუკაშვილი ერთხელ კიდევ ათანაბრებს ანგარიშს. მეორე ტაიმის მე-19 წუთზე წალენჯიხელთა ერთ-ერთმა მცველმა ბურთი საკუთარ კარში გაიტანა.

• • •

მოგყავს ორი გამოტოვებული შეხვედრის შედეგი:

● **„სპარტაკი“ (ბორჯომი) — „აერო“ (გალი) 2:1. მსაჯი ა. ხარატიშვილი (თბილისი).**

● **„ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „არაგვი“ (მცხეთა) 3:1. მსაჯი ი. მჭედლიშვილი.**

I ᲯᲒᲣᲤᲘᲡ II ᲥᲕᲔᲯᲒᲣᲤᲘ

I ზონა

„მევენახე“ (ვახისუბანი) — „თრიალეთი“ (წალკა) 1:0, „ზემო ქართლი“ (ხაშური) — „გარისი“ (თეთრი წყაროს) — „შირაქი“ (წითელწყაროს) 2:2, „არაგვი“ (დუშეთი) — „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) 1:7, „ელმავალმშენი“ (თბილისი) — „ვარძია“ (ასპინძა) 1:2.

II ზონა

„სალხინო“ (გეგეჭკორი) — „კოლხიდმშენი“ (ფოთი) 7:0, „კოლმეურნე“ (ჩხოროწყუ) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 1:0, „საირმე“ (მაიაკოვსკი) — „განახლება“ (აღიგენი) 3:0, „ელექტრიკი“ (ქუთაისი) — „იმერეთი“ (თერჯოლა) 4:1.

ზონალური გათამაშება

ბოლნისი — დმანისი 7:0, ზესტაფონი — ლანჩხუთი 0:0, ცაგერი — ონი 1:3.

გათამაშების ცხრილი

I ᲯᲒᲣᲤᲘᲡ I ᲥᲕᲔᲯᲒᲣᲤᲘ

მდგომარეობა 17 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ასკ (თბილისი)	28	18	8	2	56—15	44
„კოლხეთი“ (ცხაკაია)	29	16	9	4	53—27	41
„მეტალურგი“ (ზესტაფონი)	30	13	13	4	36—19	39
ფიზკულტურის ინსტ. (თბილისი)	29	13	12	4	44—26	38
„ლოკომოტივი“ (სამტრედია)	31	14	10	7	46—38	38
„სინათლე“ (თბილისი)	29	14	7	8	40—24	35
„სპარტაკი“ (ბორჯომი)	29	11	12	6	38—28	34
„ფეიქარი“ (წულუკიძე)	29	12	10	7	37—33	34
„აერო“ (გალი)	30	11	10	9	34—34	32
„სულორი“ (ვანი)	28	12	6	10	32—25	30
„დურუჯი“ (ყვარელი)	29	9	11	9	39—28	29
„ბახმარო“ (ჩოხატაური)	30	10	6	14	35—49	26
„მშენებელი“ (ხიღნალი)	27	8	9	10	28—37	25
„კოლმეურნე“ (წალენჯიხა)	31	9	7	15	27—48	25
„სამცხე“ (აწყური)	28	6	10	12	30—34	22
„ლაითური“ (მახარაძის რაიონი)	29	7	8	14	24—31	22
„ისანი“ (თბილისი)	29	7	8	14	24—36	22
„ნარინჯი“ (ბათუმის რაიონი)	29	6	10	13	25—39	22
„ქართლი“ (გორის რაიონი)	28	8	5	15	28—45	21
„ბარეჯი“ (საგარეჯო)	27	7	6	14	26—45	20
„მესხეთი“ (ახალციხე)	28	5	9	14	17—32	19
„არაგვი“ (მცხეთა)	30	8	3	19	23—44	19

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიადის გახსნამდე დარჩა 23 დღე

მეხიკო, 17 სექტემბერი. ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტმა გამოაცხადა სპორტის სახეობათა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ დამტკიცებული მონაწილეთა რეგისტრაციის უკანასკნელი ვადები. მძლეოსნებისთვის ეს არის 26 სექტემბერი, ფეხბურთელებისთვის — 28, საიალქნო სპორტის ოსტატებისთვის — 1 ოქტომბერი, აკადემიური ნიჩბოსნებისთვის, კალათბურთელებისთვის, მოკრივეებისთვის, ტანმოვარჯიშეებისთვის, ბალახის ჰოკეისტებისთვის, მოცურავეებისთვის, ხუთჭიდელებისთვის, ძალოსნებისთვის, ფრენბურთელებისა და წყალბურთელებისთვის — 2, ველოსიპედისტებისთვის, მოფარიკავეებისთვის — 4, მოჭიდავეებისთვის, მსროლელებისთვის — 6, ცხენოსნებისთვის — 8, ბაიდარებითა და ქანოეთი ნიჩბოსნებისთვის — 11 ოქტომბერი.

ნიუ-იორკი, 17 სექტემბერი. 5 ცხენოსანი დაიცავს აშშ-ს სპორტულ ღირსებას მეხიკოს თამაშებში. ესენი არიან ბ. სტეინკრაუსი, ცოლ-ქმარი — ფ. და მ. ჩეპოტი, ჯ. კუშნერი და კ. ჰოფმანი. ოთხი მათგანი უკვე მონაწილეობდა ოლიმპიურ თამაშებში, ჰოფმანი დებიუტანტია.

მოსკოვი, 17 სექტემბერი. ოლიმპიადის დედაქალაქში გაემგზავრა ჩვენი სპორტსმენების მეორე ჯგუფი, რომელსაც მეთაურობს საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელი ს. პავლოვი. დელეგაციის შემადგენლობაში არიან მოკრივეები, ველოსიპედისტები, მოცურავეები, მსროლელები და მძლეოსნებს მეორე ჯგუფი. თვითმფრინავი „ტუ-114“ ჩვენს სპორტსმენებს ჩაიყვანს ჰავანაში. აქედან ისინი „ილ-18“-ით მეხიკოში გაფრინდებიან.

მეხიკო, 17 სექტემბერი. ოლიმპიურ სოფელში ადიმართა კიდევ 3 მონაწილე ქვეყნის — ჩეხოსლოვაკიის, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის სახელმწიფო ალმები.

ტოკიო, 18 სექტემბერი. სოიას წვენს, მაკვესა და სხვა პროდუქტებს წაიღებენ თან მექსიკაში იაპონელი სპორტსმენები. პროდუქტებს შორის რასაკვირველია, არის ბრინჯი. ყველა ეს პროდუქტი დაემატება იმ კერძებს, რომლებსაც მიიღებენ ამომავალი მზის ქვეყნის სპორტსმენები თამაშების დროს. ამ ქვეყნის დელეგაციის ერთერთი ხელმძღვანელის თქმით, კვების მხრივ იაპონელები მექსიკაში თავს ისე იგრძნობენ, როგორც სახლში.

კამპალა, 18 სექტემბერი. მხოლოდ 3 „ყველაზე მძიმე“

ეეხიკოს სიგნალები

სპორტსმენი არ იქნება უგანდის მოკრივეთა გუნდში. აი, ოლიმპიელ მოკრივეთა გვარები: ოგადა, რვაბოტო, მუკვანგა, მურული, ოდხიამბო, კაიოჯო, ჯეკსონი, ოუმა.

კოპენჰაგენი, 18 სექტემბერი. 4 ოლიმპიური ოქროს მედლისა და მსოფლიო ჩემპიონატების 9 უმაღლესი ჯილდოს მფლობელი პ. ელვესტრემი დაიცავს დანიის სპორტულ სახელს საიალქნო სპორტის „ვარსკვლავისებურ“ კლასში. იგი 40 წლისაა. 20 წლისამ მან მოიხვეჭა პირველი ოლიმპიური ოქროს მედალი.

მეხიკო, 18 სექტემბერი. ვეებერთელა საჰაერო ბურთი, რომელზეც გამოხატულია ოლიმპიადის სიმბოლო — ხუთი ერთმანეთზე გადაჭდობილი ნაირფერადი რგოლი, აფრინდა ადგილობრივი აეროდრომის თავზე, სადაც ყოველდღე თვითმფრინავებით ჩამოდიან თამაშების მონაწილენი, ჟურნალისტები, ოფიციალური პირები. მალე ასეთი ბურთები დაამშვენებს ქალაქის ქუჩებს. ისინი მეხიკოს მორთულობაც იქნება და სპორტის მოყვარულთა ორიენტირიც.

ოსაკა, 18 სექტემბერი. იაპონიის ამ ქალაქში გამართულმა ცურვის საერთაშორისო ფედერაციის სხდომამ დაამტკიცა 21 ვაჟთა და 24 ქალთა მსოფლიო რეკორდი, რომლებიც დამყარებულია წლეულს, 1 იანვრიდან 15 სექტემბრამდე. მათ შორის არის საბჭოთა სპორტსმენების 3 მიღწევა — მოსკოველი მ. პანკინისა 100 მეტრზე ბრასით ცურვაში (1.06,2), ლენინგრადელი ვ. კოსინსკისა 200 მეტრზე ბრასით ცურვაში (2.27,4) და მოსკოველი ა. დუნაევისა— 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში (4.45,3).

სარაევო, 18 სექტემბერი. ერთბაშად 12,3 წამით გაუმჯობესა 10 კმ-ზე რბენაში იუგოსლავიის რეკორდი ნ. ფარჩიჩმა. მისი შედეგია 28.48,8. ეს მოხდა იუგოსლავიისა და ნორვეგიის მძლეოსანთა ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრის დროს.

კოლორადო-სპრინგსი, 18 სექტემბერი. აშშ-ს ცურვის ეროვნულმა ფედერაციამ გადაწყვიტა საერთაშორისო ფედერაციას დასამტკიცებლად წარუდგინოს თავიანთი სპორტსმენი ქალების მიერ 4×100 მ კომბინირებულ ესტაფეტაში ნაჩვენები სარეკორდო დრო — 4.28,1. წინანდელი მსოფლიო მიღწევაც ამერიკელებს ეკუთვნოდათ — 4.30,0.

ვერა ჩასლავსკა (სურათზე) კარგა ხანია მარტო ჩეხოსლოვაკიის კი არა, მსოფლიო ტანვარჯიშის ლიდერი გახდა — საერთაშორისო სარბიელზე ზედიზედ რამდენიმე ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. ტოკიოს ოლიმპიადისა და მსოფლიო ჩემპიონმა განიზრახა მეხიკოშიც დაიცვას ტიტული და თავისი ქვეყნის სპორტული ღირსება, ამიტომაც ორი წელი გულმოდგინედ ემზადებოდა. ვერას როცა ჰკითხეს, ვინ მიგაჩნიათ ყველაზე საშიშ მეტოქედო, დაუფარავად უპასუხა: ასაკი და საბჭოთა სპორტსმენები, განსაკუთრებით პეტრიკი და ვორონინაო. მართლაც, როგორც გუნდურ, ისე პირად ჩათვლაში ცალკეულ იარაღებსა და აბსოლუტური ჩემპიონობისთვის ბრძოლა ჩეხოსლოვაკიელ და საბჭოთა სპორტსმენებს შორის უნდა გაიმართოს.



როცა ამერიკელმა მძიმე წონის ძალოსანმა პაულ ანდერსონმა პირველმა გადააბიჯა 500-კილოგრამიან ზღვარს, იგი სპორტის ამ სახეობის მოყვარულთა კერპი გახდა. როცა მას „მომდევრები“ გამოუჩნდნენ და ჯერ ი. ვლასოვმა, შემდეგ კი ლ. უაბოტინსკიმ ფენომენალური მსოფლიო რეკორდები დაამყარეს, ძალოსანთა მაღალი შედეგები აღარავის აკვირვებდა. და აი, ამ დროს გამოჩნდა ახალი „ვარსკვლავი“: საბჭოთა ძალოსანმა ი. ტალტსმა (სურათზე) გაიმეორა ანდერსონის წარმატება— ქვემძიმე წონის ძალოსნებიდან პირველმა შეაბიჯა 500-იანების კლუბში. მართალია, წლეულს ტალტსს სერიოზული კონკურენტებიც გამოუჩნდნენ, მაგრამ როგორც მისმა მწვრთნელმა განაცხადა, ტალტსს მთელი საწვავი მეხიკოს ოლიმპიადისთვის აქვს გადანახული და იქ მისგან საოცარ შედეგებს უნდა ველოდოთო. ვნახოთ!..

დეფიციტი — 7 მილიონი მარკა

ბერლინის „დოიჩეს შპორტეხო“ ათავსებს თავისი პარიზელი კორესპონდენტის ცნობას იმის შესახებ, რომ საფრანგეთის პირველობა სულ უფრო და უფრო ჰკარგავს ინტერესს. ჩემპიონატის დეფიციტია 7 მილიონი (გერმანულ კურსზე გადაყვანით) მარკა. მაყურებელები სტადიონებს ამჯობინებენ ტელეხედვას.

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ იმსჯელა ამ კრიზისული მოვლენის შესახებ. როგორ დაიფაროს ეს დიდი დეფიციტი? წინადადება მილეთების ფასის გაზრდის შესახებ უარყოფილ იქნა, რადგან ეს კიდევ უფრო დააფრთხობდა მაყურებლებს.

ფედერაციამ მიიღო საინტერესო დადგენილება, რომელმაც, მისი აზრით, უნდა გააცოცხლოს ინტერესი ფეხბურთისადმი. ახალი სეზონიდან (მართალია, ჯერჯერობით მხოლოდ II ლიგაში) ზედმეტი ქულა ჩაეწერებათ იმ გუნდებს, რომლებიც მოიგებენ 3 და მეტი ბურთის განსხვავებით. თუ ამ ღონისძიებამ დადებითი შედეგი გამოიღო, ფედერაციას გადწყვეტილი აქვს იგი I ლიგაზეც გაავრცელოს.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

გუშინ...

თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა სპიდვეიში სსრ კავშირის თასის ნახევარფინალის II ეტაპი, რომელსაც საბოლოოდ უნდა გაერკვია კიდევ 2 ფინალისტის ვინაობა. „თბილისმა“ ამ დღესაც წარმატებით იასპარეზა, ადრე მოპოვებულ ნადავლს კიდევ 40 ქულა დაუმატა და 88 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. II ადგილზეა დაუგავპილსის „ლოკომოტივი“ — 44 ქულა. თბილისის ნახევარფინალიდან ამ ორმა გუნდმა მოიპოვა თასისთვის გადამწყვეტი ბრძოლის უფლება.

ჯეარი ჯეგ�ეგი

● **ლენინგრადი, 17 სექტემბერი.** ავტომობილისტთა IX საკავშირო ჩემპიონატში, რომელიც აქ გაიმართა, „ვოლგებით“ ტურნირს ლიტველებმა ზ. პასკაჩიმასმა და ლ. პოტაპჩიკმა მოიგეს. „მოსკვიჩი 412“-ის კლასში შეჯიბრება მოსკოველების — ი. ასტაფიევისა და ვ. კრონიკის გამარჯვებით დამთავრდა. „მოსკვიჩი 408“-ში უძლიერესნი იყვნენ ტ. ბარსეკინი და ჰ. სეპი (ესტონეთი). „ზაპოროჟეცით“ ჩემპიონები გახდნენ ა. შვაჩკო და ა. კოლერადი (ლატვია). გუნდური პირველობა წილად ხვდათ ესტონელებს.

● **საუთ-ლეიკ-ტაუნ, 17 სექტემბერი.** აშშ-ის მძლეოსანთა ბოლო ოლიმპიურ ტურნირზე სიგრძეზე მხტომელებმა შესანიშნავი შედეგები აჩვენეს. ჯერ იყო და რ. ბოსტონი 826 სმ-ზე გადახტა, ხოლო შემდეგ რ. ბიმონმა მსოფლიო რეკორდს გადააჭარბა — 840 სანტიმეტრი აჩვენა, მაგრამ ზურგქარი ნორმალურს აღემატებოდა, ამიტომაც ეს შედეგი მსოფლიო რეკორდების ცხრილში არ შევა.

21 სექტემბერს

ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის საუკეთო დარბაზში საქართველოს სპორტკავშირი და ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაცია აწყობენ სპორტის დამსახურებული ოსტატის ა. გალპერინის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნის საღამოს.

დასაწყისი 18 ს.

საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს ფრენბურთისა და კალათბურთის მასწავლებლის ვაკანტურ თანამდებობაზე — 1 ერთეული (ქართული და რუსული ენის მცოდნე).

კონკურსის ვადა ორი კვირაა დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა. დაწვრილებითი ცნობებისთვის მიმართეთ ინსტიტუტის კადრების განყოფილებას. მისამართი: ი. ჭავჭავაძის პროსპექტი № 49.

რედაქტორატი.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 04224